ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 13 07 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 238-ბ

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-9 მუხლის; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 21-ე მუხლის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N1/1827, 10.07.2018), ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა (N1/1884, 18.07.2018) სკოლების დეკანების - ლევან ჯიქიასა და ლევან ქისტაურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები შიდა მობილობისთვის 2018-2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განისაზღვროს ვადები 2018-2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისთვის დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დადგინდეს შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

4. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილები:

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:**
   ა) სამართალი **- 10 ადგილი;**
   ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები - **10 ადგილი;**
   გ) ინგლისური ფილოლოგია **- 5 ადგილი;**
   დ) ისტორია - **5 ადგილი;**
   ე) ფილოლოგია - **5 ადგილი**

2. **ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში**

   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
   ა.ა) ფინანსები და საბანკო საქმე - **10 ადგილი;**
   ა.ბ) მენეჯმენტი - **10 ადგილი;**
   ა.გ) ტურიზმის ბიზნესი - **10 ადგილი;**
   ა.დ) ეკონომიკა - **10 ადგილი;**
   ა.ე) ფსიქოლოგია - 10 **ადგილი;**
   ა.ვ) კომპიუტერული მეცნიერება - **40 ადგილი;**

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
   ბ.ა) ბიზნესის ადმინისტრირება **- 3 ადგილი;**
   ბ.ბ) ეკონომიკა - **3 ადგილი;**
   ბ.გ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია **- 10 ადგილი;**
   ბ.დ) ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება **- 3 ადგილი**

დანართი N2

2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომი სემესტრში შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2018 წლის 29 აგვისტო - 10 სექტემბერი;

ბ) კრედიტების აღიარების კომისიის მუშაობა და დასკვნების მომზადება - 2018 წლის 3 – 11 სექტემბერი;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება - 2018 წლის 4 – 12 სექტემბერიი;

დ) შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და გამოცემა - 2018 წლის 14 - 17 სექტემბერი.

დანართი N3

შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (ივსება სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, ოთახი N103);

გ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (შესაბამისი დეკანატის მიერ დამოწმებული);

დ) 2018 – 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის დამადასტურებელი (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) დოკუმენტი.